# ხელშეკრულება №-20

„ 7 " IX 2020 წ.

ქ. თბილისი

ჩვენ, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები, ერთის მხრივ სს "გეფა" (შემდგომში " მიმწოდებელი") მისი საბითუმო გაყიდვების დეპარტამენტის დირექტორის დავით სულაბერიძის სახით და მეორეს მხრივ სსიპ ქალაქ თბილისის №-97 საჯარო სკოლა (შემდგომში "მიმღები"), მისი დირექტორის ქეთევან მეგრელიშვილის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი ყიდის და მიმღები ყიდულობს მედიკამენტებსა და სამედიცინო დანიშნულების საგნებს (შემდგომში „პროდუქცია");

1.2. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გასაყიდი პროდუქციის ნუსხას, რაოდენობას, ფასებსა და გადახდის ვადებს მხარეები ადგენენ ურთიერთშეთანხმებით, მოწოდებული პრაის-ლისტის შესაბამისად.

1.3. შესაბამისი ნაშთების არსებობის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია თავის ტრანსპორტით საქონლის შეკვეთის მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარულ დღეში მიაწოდოს მიმღებს შესაბამისი საქონელი.

## 2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს "მიმღებს" პროდუქცია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში;
- მიმღებს გადასცეს ხარისხიანი და რაოდენობრივად უნაკლო პროდუქცია.

2.2. მიმღები ვალდებულია:

- შეამოწმოს პროდუქციის ვარგისიანობა და რაოდენობა გადაცემისას; პროდუქციის მიღების შემდგეგ პრეტენზიების წარდგენა აღარ დაიშვება.
- ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში მოახდინოს მიღებული პროდუქციის საფასურის გადახდა.
- მიმღები ადასტურებს, რომ მას გააჩნია ყველა შესაბამისი ნებართვა/ლიცენზია, ცოდნა, კვალიფიკაცია, გამოცდილება, უნარ-ჩვევები, კვალიფიციური თანამშრომლები, ინფრასტრუქტურა რათა განახორციელოს პროდუქციის შენახვა და რეალიზაციაა.

## 3. ანგარიშსწორების პირობები

3.1. საქონლის გადაცემის მომენტად ითვლება მყიდველისთვის საქონლის მიწოდების თარიღი, რაც დასტურდება მხარეთა შორის საქონლის მიწოდებაზე (გადაცემაზე) სასაქონლო ზედნადების გაფორმებით (ატვირთვით), რის შემდეგაც მყიდველზე გადადის საკუთრების უფლება პროდუქციაზე და მასთან დაკავშირებული რისკები.

3.2. ანგარიშსწორება წარმოებს წინასწარი გადახდის წესით. მხარეები შეიძლება **შეთანხმდნენ შემდგომი გადახდის პირობაზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გადახდა უნდა განხორციელდეს პროდუქციის მიწოდებიდან 30 დღის ვადაში.** მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების ფასი შეიცავს ტრანსპორტირების ფასს.

3.3. მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების კონსიგნაციით მიწოდებული მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების მაქსიმალური ლიმიტი განისაზღვრება 399,92 (სამას ოთხმოცდაცხრამეტი 92 თ.) ლარის ოდენობით.

3.4. ნაწარმის მიწოდებისას შემდგომი გადახდის პირობით მედიკამენტებისა და სამედიცინო (ურთიერთშეთანხმებით), მათი ღირებულების გადახდა ხდება ზედნადებში აღნიშნული ღირებულებით. გადახდის ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი მოითხოვოს მიმღებისგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება და

პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.1% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებული დღეზე გაანგარიშებით.

3.5. ლარის დევალვაციის (>5%) შემთხვევაში ანგარიშსწორება მოხდება საკურსო სხვაობის გათვალისწინებით, ლარის გადახდის დღისათვის დაფიქსირებული კურსით აშშ დოლართან მიმართებაში.

## 4. სხვა პირობები

4.1. მხარეები ვალდებულებას კისრულობენ სრულად აანაზღაურონ ის ზიანი, რომელიც მიადგა მეორე მხარეს მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით ან არასრული შესრულების შედეგად.

4.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა შეიძლება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

4.3. ყველა იმ პირობის დადგომისას, რომელიც ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული არ არის მხარეები ურთიერთობისას ხელმძღვანელობენ სამეწარმეო ეთიკისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად;

4.4. მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობული ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერ დავა (მათ შორის შეწყვეტა, შესრულება და სხვა) განხილული და გადაწყვეტილი იქნება ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე, წინააღმდეგ შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლოში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

4.5. მხარეები თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიმწოდებლის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

4.6. იურიდიული მისამართის, მომსახურე ბანკისა და სხვა რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან 7 (შვიდი) დღის განმავლობაში შეატყობინონ ერთმანეთს ამის შესახებ;

4.7. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 3 (სამი) წლის ვადით. სამი წლის ვადის გასვლის შემდეგ ავტომატურად მოხდება ხელშეკრულების განახლება იმავე ვადით, იმ შემთხვევაში თუ ვადის გასვლამდე 1 (ერთი) თვით ადრე რომელიმე მხარე წერილობით არ მოითხოვს ხელშეკრულების გაუქმებას;

4.8. წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ გაუქმებულად ჩაითვლება მხარეებსა შორის მანამდე არსებული ყველა სახის ხელშეკრულება თუ შეთანხმება პროდუქციის მიწოდებასთან დაკავშირებით;

4.9. მიმღებს არ აქვს უფლება, მიმწოდებლის წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლება-მოვალეობანი გადასცეს მესამე პირს.

4.10. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია მეორე მხარისთვის 1 (ერთი) თვით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით.

4.11. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში უნდა შეასრულონ შეწყვეტამდე ნაკისრი ვალდებულებები სრულად და ჯეროვნად.

4.12. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით და მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მხარეებმა შესაძლოა დაამუშაონ და/ან ერთმანეთს გაუზიარონ რიგი პერსონალური მონაცემები, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები.

4.13. ამგვარი ინფორმაციის მიმღებმა პირმა უნდა უზრუნველყოს, რომ მას ჰქონდეს კონფიდენციალურობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სრულყოფილად დანერგილი შიდა წესები/სისტემები, სავალდებულო რეგულაციები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია/იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან და რომლებიც სრულად გავრცელდება ინფორმაციის დამმუშავებლისგან/გადამცემისაგან მიღებულ ინფორმაციაზე. შესაბამისად, ამ ურთიერთობის თითოეული მხარე (როგორც

ნებისმიერი ქვე-კონტრაქტორი) ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მისი საქმიანობა სრულ შესაბამისობაში იყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით არსებული კანონმდებლობის მოთხოვნებთან და ასევე და მკაცრად დაიცვას ქვემოთ მოცემული პირობები:

4.14. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება განახორციელოს კანონით განსაზღვრული პრინციპების დაცვით, ხოლო თუ მონაცემთა დამუშავებისთვის კანონი ითვალისწინებს მონაცემთა სუბიექტის, თანხმობას მოიპოვოს/მოპოვებული ჰქონდეს აღნიშნული თანხმობა (წერილობით ან ელექტრონული ფორმით). თანხმობა გაცემული უნდა იყოს ნებაყოფლობით, მკაფიო, მარტივი და გასაგები ენით. ამასთან, ასეთი თანხმობა, დაუყოვნებლივ უნდა იქნას წარდგენილი მონაცემების მიმღებისათვის, ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში.

4.15. პერსონალურ მონაცემების დამუშავებაზე უფლებამოსილი/ინფორმაციის მიმღები პირი ვალდებული იქნება:

4.16. განახორციელოს მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მიწოდებული მონაცემების დამუშავება იმ მოცულობით და ფარგლებში, რაც აუცილებელია მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და მიზნების შესასრულებლად ან გათვალისწინებულია კანონმდებლობით ან მარეგულირებლის მოთხოვნით;

4.17. დანერგოს ყველა ტექნიკური ან ორგანიზაციული ზომა და განახორციელოს ყველა აუცილებელი ქმედება, რათა აცილებული იქნას მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მიწოდებული პერსონალური მონაცემების არაავტორიზებული ან უკანონო დამუშავება, მათი დაკარგვა, განადგურება, დაზიანება, არაავტორიზებული ცვლილება ან გასაჯაროება და შეატყობინოს მონაცემთა დამმუშავებელს მის მიერ მიღებული ზომების შესახებ;

4.18. მონაცემთა დამმუშავებლის თანხმობის გარეშე, არ განახორციელოს მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის მესამე პირებისთვის გადაცემა (გარდა იმ მესამე პირებისა, რომელთათვისაც მონაცემების გადაცემა აუცილებელია მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად და ან კანონის ძალით), ამასთან, ნებისმიერი საფუძვლით, მონაცემების მესამე პირებისთვის გადაცემის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირი ვალდებულია მონაცემების გადაცემა განახორციელოს წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის თანახმადაც მესამე პირი და/ან მისი სუბ-კონტრაქტორები ვალდებულნი იქნებიან მიიღონ ყველა აუცილებელი ტექნიკური ან ორგანიზაციული ზომა და განახორციელონ ყველა ქმედება, რათა აცილებული იქნას პერსონალური მონაცემების არაავტორიზებული ან უკანონო დამუშავება, მათი დაკარგვა, განადგურება, დაზიანება, არაავტორიზებული ცვლილება ან გასაჯაროება;

4.19. ნებისმიერი ზიანის/ზარალის ანაზღაურებაზე, რომელიც შესაძლოა მიადგეს მონაცემთა დამმუშავებელს, უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების თაობაზე ნაკისრი და/ან კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შედეგად. უფლებამოსილი პირი თანახმაა, აუნაზღაუროს და დაიცვას მონაცემთა დამმუშავებელი ნებისმიერი (მათ შორის, არაპირდაპირი) ზიანისაგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), სანივრისგან, ხარჯისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც მონაცემთა დამმუშავებელი გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას.

4.20. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე - 2 (ორ) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

## 5. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

სს "გეფა"

მის.: ქ. თბილისი, დიდი დიღომი-გლდანის შემაერთებელ მაგისტრალსა და ბელიაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე,(ნაკვ 4/77)
ქ. თბილისი ბელიაშვილის 142
ტელ: 2 91 19 00

სს "თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალი

ბანკის კოდი TBCBG22

ა/ა GE47TB7079136020100017

ს/კ 201991229

საბითუმო გაყიდვების

დეპარტამენტის დირექტორი

________________ /დავით სულაბერიძე/

GEPHA JSC

Digitally signed by GEPHA JSC
Date: 2020.09.07 17:14:49 +04'00'

სსიპ - ქალაქ თბილისის №-97 საჯარო სკოლა

მის: ქ. თბილისი, ვ/ბაგრატიონის 1 შესახვევი №-7.

სს „საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი BAGAGE22

ა/ა GE16BG0000000970172600

ს/კ 206031783

დირექტორი:

________________ /ქ. მეგრელიშვილი/

| | |
|---|---|
| მომწოდებელი: სს გეფა<br>მისამართი: ქ.თბილისი. ბ.ხმელნიცკის 3ა<br>საიდენთიფიკაციო № 201991229<br>საბანკო რეკვიზიტები: TBC ბანკი. ბ/კ:TBCBGE22<br>ა/ა:GE47TB7079136020100017 | წინასწარი კალკულაცია № 435 |
| სადგური, საიდანაც იგზავნება: | თარიღი: 07/09/2020 |
| გადამხდელი:<br>მისამართი:<br>ანგარიშის №: | |
| ტვირთის გამგზავნი:<br>დანიშნულების სადგური:<br>რაოდენობა: წონა: | საგადასახადო მოთხოვნების №:<br>საწყ. ოპერაციის №: |

**სს საჯარო სკოლა 97**

| | საქონელი, მწარმოებელი | | რაოდენობა<br>ნუმერუსის მიხედვით | ფასი ლარში<br>ნუმერუსის მიხედვით | თანხა ლარში |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | კატაბალახას ნაყენი 30მლ ფლაკონი /ბელ/ №1 (კატაბალახა) | ბორისოვი | 2.000<br>2 | 0.789<br>0.78900 | 1.577 |
| 2 | პიტნის ნაყენი 25მლ ფლაკონი №1 (პიტნა) | იაროსლავის ფ.ქ. | 2.000<br>2 | 0.576<br>0.57600 | 1.152 |
| 3 | ამბროქსოლი ტაბლეტი 30მგ /ბელ/ №20 (ამბროქსოლი) | ბორისოვი | 1.000<br>20 | 1.827<br>0.09135 | 1.827 |
| 4 | სამედიცინო სპირტი (ეთანოლი) ხსნარი 95% 200მლ ფლაკონი №1 (ეთანოლი) | | 3.000<br>3 | 2.899<br>2.89900 | 8.696 |
| 5 | სუპრასტინი ტაბლეტი 25მგ №20 (ქლოროპირამინი) | ეგისი | 1.000<br>20 | 5.576<br>0.27880 | 5.576 |
| 6 | სუპრასტინი ხსნარი საინექციო 20მგ/1მლ ამპულა №5 (ქლოროპირამინი) | ეგისი | 1.000<br>5 | 8.191<br>1.63820 | 8.191 |
| 7 | ომეპრაზოლი /ომეზე/ კაფსულა 20მგ №200 (ომეპრაზოლი) | ლაბ. ზეე | 0.200<br>40 | 11.690<br>0.05845 | 2.338 |
| 8 | ციტრამონი "პ" ტაბლეტი /რუს/ №6 (პარაცეტამოლი+აცეტილსალიცილის მჟ+კოფეინი+ლიმონის მჟ) | | 65.000<br>390 | 0.200<br>0.03333 | 13.015 |
| 9 | თერმომეტრი ვერცხლისწყლის /ჩინ/ №1 (თერმომეტრი) | | 4.000<br>4 | 2.199<br>2.19900 | 8.798 |
| 10 | დესლორატადინი ნორმონი ტაბლეტი 5მგ №20 (დესლორატადინი) | ლაბ. ნორმონი | 0.500<br>10 | 3.080<br>0.15400 | 1.540 |
| 11 | ლიზობაქტი კომპლექტი სპრეი ორალური 30ლ ფლაკონი №1 (ლიზოციმი+ცეტილპირიდინიმი+ლიდოკაინი) | ბოსნალიჯეკი | 1.000<br>1 | 12.648<br>12.64800 | 12.648 |
| 12 | აპრინოლი საბავშვო სიროფი 15მგ/5მლ 125მლ ფლაკონი №1 (ამბროქსოლი) | ანფარმა | 1.000<br>1 | 5.412<br>5.41200 | 5.412 |
| 13 | ქსილომეტაზოლინი/ოქროს ვარსკვლავი/ წვეთები ცხვირის 0.1% 10მლ №1 (ქსილომეტაზოლინი) | დანაფა | 1.000<br>1 | 3.980<br>3.98000 | 3.980 |
| 14 | წყალბადის ზეჟანგი ხსნარი 3% 100მლ ფლაკონი /საქ/ №1 (წყალბადის ზეჟანგი) | თბილისის ფქ | 5.000<br>5 | 0.561<br>0.56100 | 2.803 |
| 15 | ლეიკოპლასტირი "სტარბანტი" №10 (ლეიკოპლასტირი!) | აანსინი | 60.000<br>600 | 0.320<br>0.03200 | 19.222 |
| 16 | კორვალ X ტაბლეტი №10 (ეთილბრომიზოვალერიანატი+ფენობარბიტალი+მენთოლის ზეთი) | Xი-ემ-ეი | 5.000<br>50 | 1.759<br>0.17590 | 8.795 |
| 17 | კორსიზი ტაბლეტი №100 (ეთილბრომიზოვალერიანატი+ფენობარბიტალი+მენთოლის ზეთი) | ავერსი-რაციონალი | 0.500<br>50 | 14.801<br>0.14801 | 7.401 |
| 18 | პარაცეტამოლი ტაბლეტი 500მგ №20 (პარაცეტამოლი) | სოფარმა | 10.000<br>200 | 1.611<br>0.08055 | 16.110 |

| # | საქონელი, მწარმოებელი | | რაოდენობა<br>შეფუთვის მიხედვით | ფასი ლარში<br>შეფუთვის მიხედვით | თანხა ლარში |
|---|---|---|---|---|---|
| 19 | კაპტოპრილი ტაბლეტი 50მგ /პოლ/ №20 (კაპტოპრილი) | ჯელფა | 1.000<br>20 | 5.964<br>0.29820 | 5.964 |
| 20 | ალბუციდი /სულფაცილი/ წვეთები თვალის 20% 5მლ ფლაკონი №1 (სულფაცილნატრიუმი) | სინთეზი | 2.000<br>2 | 1.386<br>1.38600 | 2.772 |
| 21 | ჰუმანა-ელექტროლიტი ბანანის /1წლ-დან/ №2 | ჰუმანა | 2.000<br>4 | 2.600<br>1.30000 | 5.200 |
| 22 | იმოდიუმი კაფსულა 2მგ №20 (ლოპერამიდი) | იანსენ სილაგი | 1.000<br>20 | 10.319<br>0.51595 | 10.319 |
| 23 | ნო-შპა ტაბლეტი 40მგ №100 (დროტავერინი) | ხინოინი | 1.000<br>100 | 12.781<br>0.12781 | 12.781 |
| 24 | ეუკარბონი ტაბლეტი №100 (ნახშირი გააქტივებული+რევანდი+სინამაქი) | ფ.ტრენკა | 1.000<br>100 | 34.001<br>0.34001 | 34.001 |
| 25 | ნიშადურის სპირტ- ხსნარი 10% 100მლ ფლაკონი №1 (ნიშადური) | ეუბიოტიკი | 1.000<br>1 | 0.631<br>0.63100 | 0.631 |
| 26 | დიკლოფენაკი ტაბლეტი 50მგ /რუს/ №20 (დიკლოფენაკი ნატრიუმის) | ოზონი | 1.000<br>20 | 1.275<br>0.06375 | 1.275 |
| 27 | კეტოროლაკი ტაბლეტი 10მგ №20 (კეტოროლაკი) | ბორისოვო | 4.000<br>80 | 1.226<br>0.06130 | 4.904 |
| 28 | ალბუტეროლი ხსნარი საინჰალაციო 0.5% 0.5მლ ფლაკონი №1 (სალბუტამოლი) | ნეფრონ ფარმაცევტიკალსი | 2.000<br>2 | 2.800<br>2.80000 | 5.600 |
| 29 | ოტიპაქსი წვეთები ყურის 16გრ ფლაკონი №1 (ფენაზონი+ლიდოკაინი) | ბიოკოდექსი | 1.000<br>1 | 7.522<br>7.52200 | 7.522 |
| 30 | ფოსფალუგელი გელი 16გრ პაკეტი №20 (ალუმინის ფოსფატი) | ფარმატის | 0.150<br>3 | 13.853<br>0.69265 | 2.078 |
| 31 | სმექტა ფხვნილი ორალური ხსნარის მოსამზადებლად 3გრ პაკეტი №30 (დიოსმექტიტი) | იპსენ ფარმა | 0.167<br>5 | 22.801<br>0.76003 | 3.808 |
| 32 | დრამინა ტაბლეტი 50მგ №10 (დიმენჰიდრინატი) | იადრანი | 1.000<br>10 | 6.478<br>0.64780 | 6.478 |
| 33 | ბამბა სამედიცინო 100გრ /სომხ/ №1 (ბამბა!) | ამეტისტ ფედი | 5.000<br>5 | 1.001<br>1.00100 | 5.006 |
| 34 | კბილის წვეთები 10მლ ფლაკონი №1 (კატაბალახა+პიტნა+ქაფური) | იაროსლავის ფ.ქ. | 1.000<br>1 | 0.841<br>0.84100 | 0.841 |
| 35 | ხელთათმანი ა/სტ M ლატექსი ტალკით №2 (ხელთათმანი) | | 100.000<br>200 | 0.499<br>0.24950 | 49.902 |
| 36 | სახის ნიღაბი (რეზინით) №1 | | 200.000<br>200 | 0.511<br>0.51100 | 102.269 |
| 37 | დროტავერინი ტაბლეტი 40მგ №20 (დროტავერინი) | ბორისოვო | 1.000<br>20 | 0.989<br>0.04945 | 0.989 |
| 38 | ბეტადინი ხსნარი გარეგანი 10% 30მლ ფლაკონი №1 (პოვიდონ იოდიდი) | ვმისი | 1.000<br>1 | 8.499<br>8.49900 | 8.499 |
| | | | | | 399.920 |

სულ: სამასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და ოთხმოცდათორმეტი თეთრი

**გთხოვთ თანხის გადმორიცხვისას დანიშნულებაში მიუთითოთ პაციენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი.წინასწარი კალკულაცია ძალაშია გამოწერიდან 2 კვირის განმავლობაში.**

სს გეფა 201991229
ფარმადეპო
160